



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 იანვარი 2025



N 28/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიბისში შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ ბორჯომის მინერალური წყლების №2 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე მოწყობილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიბისში ბორჯომის მინერალური წყლების №2 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე მოწყობილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და 2024 წლის პირველ ოქტომბერს, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე, კომპანიის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №090004 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიბისში, შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 64.22.04.012; ფართობი: 93 453 მ<sup>2</sup>) არსებული ბორჯომის მინერალური წყლების №2 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ტექნიკური ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით, მოწყობილია გამწმენდი ნაგებობა (GPS კოორდინატები: X-369073, Y-4636293; X-369078, Y-4636285; X-369100, Y-4636310; X-369102, Y-4636299). გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 227 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი – დაახლოებით 75 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბორჯომის მინერალური წყლების №2 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ტექნიკური ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით მოწყობილია „FENNO WATER“-ის გამწმენდი დანადგარი, რომელიც წარმოდგენილია რკინაბეტონის მონოლითურ ფილაზე განთავსებული 5 ერთეული ლითონის უჟანგავი რეზერვუარით და დამხმარე დანადგარ-აგრეგატებით. აღნიშნული რეზერვუარები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლითონის კონსტრუქციული ხიდით და ასევე, ლითონის სახანძრო ტიპის კიბის საშუალებით. გამწმენდი

ნაგებობის დამხმარე დანადგარ-აგრეგატები განთავსებულია რეზერვუარების მიმდებარედ, ერთსართულიან შენობა-ნაგებობაში. სკრინინგის განცხადებაზე დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით, გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფს როგორც ქარხნის ტერიტორიაზე არსებული და მშენებარე ობიექტებიდან წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების (40 მ<sup>3</sup>/დღ), ისე, ბორჯომის წყლის ჩამოსხმის პროცესის შედეგად წარმოქმნილი ტექნიკური ჩამდინარე წყლების (400 მ<sup>3</sup>/დღ) გაწმენდას და მისი წარმადობა შეადგენს 440 მ<sup>3</sup>/დღ-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ჩამდინარე წყლები გადის გაწმენდის სხვადასხვა ეტაპებს და შემდეგ მოწყობილობებს: სკრინინგი; შემავალი წყლის ტუმბვა; გათანაბრება MBBR (მოდრავი ბიო-რეაქტორი) პროცესისთვის, PH-ის გაზომვა; MBBR პროცესის უჟანგბადო რეაქტორი; აერაციის რეაქტორი და MBBR პროცესის ცირკულაციის ტუმბვა; DAF პროცესის სწრაფი შერევა; DAF პროცესის ნელი შერევა; DAF პროცესი; DAF პროცესისთვის დისპერსიული წყლის მოწყობილობა; მეთანოლის მიწოდების მოწყობილობა; NaOH-ის მიწოდების მოწყობილობა; Al<sub>2</sub>(SO<sub>4</sub>)<sub>3</sub>-ის მიწოდების მოწყობილობა; პეროქსიდის წყლის მიწოდების მოწყობილობა; ლამის ავზი; ლამის გაუწყლოება; პოლიმერის მიწოდება ნალექის გაუწყლოებისას (გაწმენდის პროცესისგან მიღებული მყარი ნარჩენის შემკვრელი დანამატი). გამწმენდი ნაგებობისათვის მოწყობილი საკანალიზაციო სისტემის საერთო სიგრძე შეადგენს 1198.58 მეტრს. გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყლები გადადის შემკრებ ჭაში (GPS კოორდინატები: X-369066, Y-4636291), საიდანაც მილის საშუალებით ჩაედინება მდ. მტკვარში (GPS კოორდინატები: X-369116, Y-4636364). გამწმენდი ნაგებობის გავლის შემდეგ, ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: შეწონილი ნაწილაკები – 60 მგ/ლ; ჟმბ – 25 მგ/ლ; ჟქმ – 125 მგ/ლ; საერთო ფოსფორი – 2 მგ/ლ; საერთო აზოტი – 15 მგ/ლ; დეტერგენტები (სზან) – 2,0 მგ/ლ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქარხნის ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია ჯამურად 2662.49 მეტრი სიგრძის სანიაღვრე წყლების მართვის ორი დამოუკიდებელი სისტემა, შესაბამისი ჭებით, რომლებიც ასრულებს ე.წ. სალექარის ფუნქციას. ვინაიდან, ქარხნის ტერიტორიაზე დაბინძურების სხვა პოტენციური წყაროები არ ფიქსირდება, სანიაღვრე წყლები დაბინძურებულია მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებით. ქარხნის ტერიტორიაზე წლის განმავლობაში წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობა შეადგენს 13667,29 მ<sup>3</sup>-ს. მექანიკური გაწმენდის შემდგომ, სანიაღვრე წყლების ჩაშვება ხდება მდ. მტკვარში, წყალჩაშვების ორ წერტილში (№1 წერტილის GPS კოორდინატები: X-368524, Y-4636294; №2 წერტილის GPS კოორდინატები: X-369116; Y-4636364). წყალჩაშვების თითოეულ წერტილში ჩაშვებული სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა შეადგენს 6833,645 მ<sup>3</sup>/წელ-ს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წყალჩაშვების №2 წერტილამდე, სანიაღვრე ჩამდინარე წყლები გროვდება შემკრებ ჭაში, სადაც უერთდება გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყლები, რის შემდგომაც, საერთო მილსადენის საშუალებით, ჩაედინება მდ. მტკვარში, წყალჩაშვების №2 წერტილში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: აზოტის დიოქსიდი, გოგირდწყალბადი, ამიაკი, ნახშირბადის ოქსიდი, მეთანი, მეთილმერკაპტანი და ეთილმერკაპტანი. დოკუმენტში, წარმოდგენილია ობიექტის ოპერირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. გაანგარიშების შედეგების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის ოპერირება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ

მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება სუნის გავრცელებას, გამწმენდი ნაგებობიდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნება გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური გამართულობა, საქმიანობა არ უკავშირდება სუნის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია დახურულ შენობაში. დოკუმენტის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების პროცესში ადგილზე ხმაურის გავრცელების დონე შეადგენს 60-65 დბა-ს, ხოლო უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე, დაშორების მანძილისა (227 მეტრი) და რელიეფური პირობების გათვალისწინებით, შეადგენს 15-20 დბა-ს. შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენებს მართვა მოხდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. სამშენებლო მოედნის ლითოლოგიური აგებულების, ამგები ქანების ფიზიკური და მექანიკური მაჩვენებლების, გრანულომეტრიული შემადგენლობის და გრუნტების ქიმიური შედგენილობის შესწავლის მიზნით, სამშენებლო მოედანზე გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი. მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ საკვლევ არეალში ფიქსირდება 6 ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე) და ტერიტორიაზე, რაიმე სახის, აქტიური, საინჟინრო-გეოლოგიური მოვლენა ან პროცესი არ ფიქსირდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, ხოლო სახელმწიფო ტყე დაშორებულია დაახლოებით 15 მეტრით. გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია ბორჯომის მინერალური წყლების №2 ჩამომსხმელი ქარხნის მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც არ გამოირჩევა ფლორისტული და ფაუნისტური მრავალფეროვნებით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია, საქმიანობის სპეციფიკის და მასშტაბის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიბისში შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ ბორჯომის მინერალური წყლების №2 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე მოწყობილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/28-21-4-202501231704>

